

Position of the European Business Association

COVID-19 Outbreak and the Economic Impact on Georgian Business of the enacted Prevention and Control Measures

March 26, 2020

European Business Association (EBA) unites more than 100 Georgian and European companies. EBA's vision is that doing business in Georgia will be the same as doing business in Europe and its mission consists of dual components: (1) To advocate/lobby for European Businesses in Georgia; (2) To facilitate the development of trade and investment between Georgia and Europe.

Following the coronavirus (COVID-19) outbreak in Georgia, the EBA, in conjunction with TBSC Consulting, have conducted a survey of members to identify the main challenges now faced by business and identified methods to mitigate them.

Utilising an on-line "Rapid Reaction Poll" of member companies and business sector representatives, over 100 CEOs participated in a survey between March 16th and 22nd.

According to the Poll:

- **70% of participants consider that the coronavirus outbreak and the resulting prevention and control measures impact on their business will be high and 33% consider that their company revenues in the first part of 2020 will decrease by 20%. Most also noted that it is still too early to estimate the full impact and it is difficult to identify how long it will take their companies to overcome the crisis.** This is to be expected as firstly the crisis has not reached its peak and secondly, such an integrated crisis is a first for most Georgian businesses and they have no prior experience of how to deal with the challenges they faced.
- Business operators are utilizing all their available resources to ensure the companies full involvement in prevention activities against COVID-19. These include the following: Offering remote working regimes, enabling flexible operating hours for employees, providing medical equipment and logistic support, issuing and ensuring the wearing of masks and protective clothing, closure of sensitive parts of the business as well as additional services and business advisory services in accordance with individual current needs.

Responses to the question what kind of support would you like to have from the government of Georgia to cushion the impact of COVID-19 on your organization. According to the survey, companies consider that in order for them to be able to continue to operate in a normal manner, the government should ensure the following support to Georgian business: Corporate Tax Rebate

for YA 2020 (34%), Aggressive job credits scheme (25%), training grants and incentives for companies for up skilling (17%), bridging loan programs (7%) and subsidies and relief for import/export companies (5%).

Recommendations

- **Enhance predictability of the situation (both for the epidemic as well as economic situation).** This should include preparation of an official economic forecast. One of the difficulties is that ongoing pandemic and the related economic crisis is far from its peak and there is still no economic forecast. Such an official forecast would assist businesses to better rearrange priorities and resources. This would additionally enable businesses to identify more accurately their future needs in a more foreseeable environment.
- **The Government should quickly develop an Integrated Aid Package for the stages of “Developing Crisis”, “Peak Crisis” and “Post-Crisis” management.** The double economic shock of a reduction in supply and demand accompanied by a currency crisis means that a single kind of intervention will not be sufficient. It will be necessary to consider sector specific crisis impact on quality and operations and identify different response mechanisms including fiscal, credit, direct subsidies, technical assistance and others.
- **Finally, it is important to avoid reducing the ongoing value creation processes within the country unless when this is unavoidable.** From an economic point of view, it is more advisable to increase control (and the associated costs) over the economic processes than to allow the shutdown of production activities as this will paralyze the process of value creation. This is important in order to avoid significant staff layoffs, business closures and market failures and to enable a rapid transition to growth after the crisis.

John Braeckeveldt

Chairman of the European Business Association

Contact Person: *Mariam Kuchuloria*

599 22 26 26, mariam.kuchuloria@eba.ge



ევროპული ბიზნეს ასოციაციის პოზიცია

ქართულ ბიზნესზე COVID-19-ისა და შესაბამისი საკონტროლო და პრევენციული ზომების ეკონომიკურ გავლენის შესახებ

26 მარტი, 2020 წელი

ევროპული ბიზნეს ასოციაცია (EBA) 100-ზე მეტ ქართულ და ევროპულ კომპანიას აერთიანებს. ორგანიზაციის ხედვაა, რომ საქართველოში ბიზნესისთვის შეიქმნას ისეთივე გარემო, როგორც ევროპაშია, ხოლო, მისი მისია შემდეგ ორ მიმართულებას მოიცავს: (1) საქართველოში ევროპული ბიზნესის ადვოკატირება/ლობირება; (2) საქართველოსა და ევროპას შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობა.

COVID 19-ის ფონზე საქართველოში ბიზნესისთვის შექმნილი კრიზისული მდგომარეებიდან გამომდინარე, ევროპულმა ბიზნეს ასოციაციამ TBSC Consulting-თან ერთად გადაწყვიტა COVID 19-ის წინასწარი შესაძლო გავლენის განსაზღვრა ბიზნეს სექტორზე, რათა მოახდინოს ასოციაციის წევრების გამოწვევების ზუსტი იდენტიფიცირება და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ეფექტიანი გადაწყვეტის გზების მოძიების პროცესში.

ამ მიზნით, 2020 წლის 16-22 მარტის პერიოდში, მოხდა სწრაფი რეაგირების რეჟიმში, წევრი კომპანიებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების მოკლე ონლაინ გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა კომპანიის ხელმძღვანელმა პირმა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- გამოკითხულთა 70%-ის აზრით, მათ ბიზნესზე COVID 19-ისა და შესაბამისი საკონტროლო და პრევენციული ზომების გავლენა არის მაღალი, ხოლო გამოკითხულთა 33%-ის ვარაუდით, აღნიშნულის გამო მათი კომპანიის შემოსავლები (2020 წლის პირველ ნახევარში) 20%-ზე მეტით შემცირდება. თუმცა, ასევე მაღალია იმ კომპანიების წილი, რომლებიც აფიქსირებენ, რომ არ იციან ან ნაადრევია იმაზე საუბარი, თუ რა გავლენა ექნება კრიზისს მათ ბიზნესზე. ბიზნესების უმეტესობა ვერ თანხმდება თუ ზუსტად რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას. ეს სრულებითაც არ არის გასაკვირი, რადგან კრიზისი თავის სრულ ფაზაში ჯერ არ შესულა. ასევე, ბევრი ქართული

ბიზნესის ისტორიაში ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია და მათ კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს.

- კომპანიები მაქსიმალურად ცდილობენ, თავის მხრივ, მონაწილეობა მიიღონ COVID 19-თან ბრძოლაში, რაც გამოიხატება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებაში: შეთავაზებულია დისტანციური მუშაობა და მოქნილი სამუშაო საათები თანამშრომლებისთვის, უზრუნველყოფილია სამედიცინო აღჭურვილობა, ლოგისტიკური მხარდაჭერა, ნიღბების ტარება, ბიზნესის მგრძობიარე სეგმენტის დახურვა. ასევე, საკუთარი მომსახურების შეთავაზება საჭიროებისამებრ და ბიზნეს რჩევის გაცემა.

არაერთგვაროვანი პასუხები დაფიქსირდა შეკითხვაზე, თუ რა სახის მხარდაჭერას ისურვებდნენ კომპანიები საქართველოს მთავრობისგან, მათ ორგანიზაციაზე COVID-19-ის გავლენის შესასუსტებლად. კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ კომპანიების ვარაუდით, ისინი შეძლებენ ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნებას, თუ მთავრობის მხრიდან განხორციელდება ისეთი მხარდამჭერი ქმედებები, როგორებიცაა: საგადასახადო შეღავათები 2020 წლის ბოლომდე (34%), ბიზნესის ფინანსური სტიმულირება სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით (25%), საგრანტო სტიმულირება კომპანიის შემდგომი განვითარების (17%), მოკლევადიანი სესხების პროგრამა (7%), სუბსიდირება და შეღავათები იმპორტიორი/ექსპორტიორი კომპანიებისთვის (5%).

რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია, რომ უპირველესად, მთავრობამ ყველაფერი გააკეთოს, რომ კრიზისის განვითარების, პიკში მიღწევის და მისგან გამოსვლის ეტაპები გახდეს მაქსიმალურად განჭვრეტადი. საქმეს ართულებს ის, რომ მიმდინარე ეპიდემია და ასევე ეკონომიკური კრიზისი ჯერ კიდევ პიკიდან შორს არის და მისი პროგნოზირებისთვის ცოტა რამ კეთდება. აღნიშნული დაეხმარება ბიზნესს, რომ უკეთ მოახდინოს პრიორიტეტების და საკუთარი რესურსების გადალაგება. ბიზნესი არის ჭკვიანი და უკეთესი განჭვრეტადობის პირობებში საკმაოდ ოპტიმალურად შეუძლია საკუთარი საჭიროებების დანახვა.

- შემუშავდეს ერთიანი ინტეგრირებული დახმარების პაკეტი, ცალ-ცალკე - კრიზისის მიმდინარეობის, მისი პიკისა და პიკიდან გამოსვლის ეტაპებისთვის. მსგავსი ორმაგი შოკის პირობებში ეკონომიკაში (მოთხოვნის და მიწოდების შესაძლო შემცირება), რასაც თან ერთვის სავალუტო კრიზისი, მხოლოდ ერთი სახის ინტერვენცია ვერ იქნება საკმარისად ეფექტური. აღნიშნული უნდა ითვალისწინებდეს სექტორების სპეციფიკას, კრიზისის მიერ სექტორებზე გავლენის ხარისხს და რიგითობას და ასევე უნდა მოიცავდეს ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ზომებს (მაგ. ფისკალური, საკრედიტო, პირდაპირი სუბსიდირების, ტექნიკური და ა.შ.).
- დაბოლოს, მხოლოდ გარდაუვალი საჭიროების შემთხვევაში შეიზღუდოს ქვეყნის შიგნით ღირებულების შექმნის პროცესი. ეკონომიკური თვალსაზრისით, უფრო მიზანშეწონილია, რომ გაიზარდოს საწარმოების კონტროლის ხარისხი და აღნიშნულ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯები, ვიდრე, პრევენციის მიზნით, მოხდეს საწარმოების საქმიანობის შეჩერება, რომელიც გამოიწვევს ღირებულების და დოვლათის შექმნის პროცესის პარალიზებას, დასაქმებულთა დათხოვნას და შემოსავლების დაკარგვას ეკონომიკაში. აღნიშნული კუთხით, საქართველოს მთავრობის ნაბიჯები საკმაოდ თანმიმდევრულია.

ჯონ ბრაეკველდტი

ევროპული ბიზნეს ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე

საკონტაქტო პირი: მარიამ ქუჩულორია

599 22 26 26, mariam.kuchuloria@eba.ge

